



ადგილობრივი ადმინისტრაციის
სამოქალაქო საზოგადოების დონების
სამართლებრივ მართვადი პლატფორმა



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 29 დეკემბერი, 2014 წელი

დრო: 13:00 – 17:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ნათია კუპრაშვილი - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
3. ირინა ფუტყარაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საზოგადოებრივი დამცველი
4. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
5. ნინო ჩხოზაძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები - საქართველო
6. ოლეგ შატბერაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი, ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
7. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი";
8. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი
9. ლევან ბოჭორიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"

განსახილველი საკითხები:

- ❖ საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება
- ❖ საერთო კრება
- ❖ სხვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ პლატფორმის წევრმა ორგანიზაციებმა გამოაგზავნეს შენიშვნები და მოსაზრებები ასოცირების შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესახებ, რომელიც გადაეგზავნა მთავრობას. კომენტარების ნაწილი გათვალისწინებულ იქნა მთავრობის მხრიდან.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია არსებობდეს მჭიდრო ურთიერთობები საქართველოს ეროვნულ პლატფორმას, სამოქალაქო საზოგადოების დროებით პლატფორმასა და სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმს (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის მიმართულებით) შორის, რადგან შექმნილ რეალობაში სამოქალაქო საზოგადოებას სჭირდება კონსოლიდაცია და აქტიური თანამშრომლობა.

პლატფორმის თავმჯდომარემ ისაუბრა წესდებაში შესატან ცვლილებებზე, მან აღნიშნა რომ აუცილებელია პროცესში რეგიონალური ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა და ჩართულობის უზრუნველყოფა. წესდებაში შესატან ცვლილებებზე პრეზენტაციას მოამზადებს პლატფორმის თავმჯდომარე, რომლის წარდგენა მოხდება მომდევნო საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს წევრებმა განიხილეს ასოცირების ხელშეკრულების ეროვნული სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, ისაუბრეს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობაზე, ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით შეიქმნას ასოცირების ქვეკომიტეტი, რომელიც ჩართულ მხარეებთან გამართავს საკონსულტაციო შეხვედრებს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ ცალკეულ მიმართულებებზე, სხვადასხვა საკითხებზე და არსებულ გამოწვევებზე.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა ისაუბრეს მთავრობასთან მემორანდუმის გაფორმების საჭიროებაზე. პლატფორმის თავმჯდომარე დოკუმენტის ჩარჩოს წარუდგენს საბჭოს წევრებს მომავალ შეხვედრაზე, რომლის განხილვაც მოხდება წევრების მიერ.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია